

# საქართველო

№ 16 აპრილი 1990

ეროვნულ ორგულობით  
 ვლამდებით და არ  
 ვთენდებით!..  
 ცოტანი ვართ, რადგან  
 ცოცხლად  
 ვჭამთ ერთმანეთს  
 ქართველები!  
 ზაურ პოლქვაძე



ნ.ა. ზ. ლოლუასი





როდის შეიძლება,  
 როდის დაიბნეოთ,  
 როცა საერთო  
 განსაკუთრებით ვართ?!

ქაიხჯი  
 ლოლონიძე

### ქ ა ო ს ი

ზოგი ადიდებს პავლეს, ზოგი აგინებს პეტრეს,  
 ბრძენს უწოდებენ გენიოსს, ჭკვიანს ნათლავენ ხეპრედ!..  
 გამირობა უნდა ყველას, ვინც დროშას იჭერს ხელში,  
 ერის სახელით ხალტურობს ბევრი შტერი და ლენჩი!..  
 სუყველა რედაქტორია, სუყველა უშვებს გაზეთს,  
 ვინღა უყურებს ხარისხს, ვინღა კითხულობს ფასებს?!.  
 ქაღალდი არ გვაქვს — მწერლებს ველარ ვუბეჭდავთ  
 წიგნებს,  
 ამ დროს კი გრაფომანი თითხ მედიდურად გვიქნევს!  
 ლიდერობა სურს ყველას, შრომა არ უნდა არვის,  
 ერისკაცთა გვყავს ცოტა, ბევრი თავისთვის დარბის!

ზოგი აღმერთებს ლაჩარს, ზოგი გმირს ლაჩარად  
 ნათლავს,

ზოგი იგონებს შიმშილს, ზოგი შიმშილობს მწერლობაში!  
 ბევრი ამღვრეულ წყალში თევზს გვარბნის მწერებს!  
 ბევრი კი უტენს სახელს პატრიოტ გოგო-ბიჭებს!  
 ბევრს ძველებურად ისევ მშვიდი ცხოვრება უნდა,  
 მძღარია და ფიქრობს, — ასე იქნება მუდამ!  
 ერთი რომ მიდის ალთას, მეორე გარბის ბალთას,  
 ველარ გაარჩევს კაცი ახლა მტყუანს და მართალს!  
 ვის გაჰყვეს, ვის დაუჭეროს?! — მართლა დაიბნა ხალხი!  
 ბევრმა დაკარგა რწმენა და აღარ სჭერა ახლის!  
 ზოგი მთავრობას აგინებს (ერისკაცია, ვითომ!),  
 ამ დროს, იმავე მთავრობის, ლაქია არის თვითონ!  
 არის გამოცდა მკაცრი, აუწერელი ენით,  
 ვერ ვიგებთ, — ვინ მტერია, ვინ მოყვარეა ჩვენს!  
 დღეს, როცა ბეწვის ხიდზე გადის ერი და ბერი,  
 საქმიანი გვყავს ცოტა, უსაქმური კი — ბევრი!  
 არის მტრობა და შური!.. ერთმანეთს ჭამენ კბილით!..  
 ალბათ იმარჯვებს მტერი, ერთი გზით თუ არ ვივლით!..  
 წყალს ჩაგვეყრება ბრძოლა, თავდადება და გარჯა!..  
 თავისუფლება რად გვინდა, თუკი ერთმანეთს დავჭამთ?!

მანო ცინცაძე

## ქ ა ო ს ი

შურნალ „ნიანგის“ რედაქციასთან ახლოს გა-  
 იხსნა ჭორის გავრცელების კოოპერატივი, რისი სულის-  
 ჩამდგმელიცაა ფირმა „ზურგსუკანა ორმო“. აქ თანა-  
 მშრომლობისათვის საჭიროა თანდაყოლილი მონაცემები:

1. ენა — არანაკლებ ერთი მეტრისა.
2. ტვინი — არანაკლებ ერთი უჭრედისა.
3. წვერი — არანაკლებ ნახევარი მეტრისა.

მახინჯები მიიღებთან რიგგარეშე!

ანონიმური წერილების მკლანელებო! „ნი-  
 ანგის“ რედაქცია მოგმართავთ თხოვნით: ნუ ხარჯავთ  
 დროს, ენერგიას, ქაღალდს და სულანს! — ნუ გამოგვი-  
 გზავნით ანონიმურ წერილებს, იგი არ განიხილება! თუ  
 ძალიან დიდი მოთხოვნილება გაქვთ და არ შეგიძლიათ  
 ანონიმური წერილების ჯღაბნის გარეშე სიცოცხლე,  
 ასეთ შემთხვევაში დაწერეთ, კონვერტში ჩადეთ, მისა-  
 მართი დააწერეთ და თქვენთვის შეინახეთ! დაწერიდან  
 რამდენიმე დღის ან თვის გასვლის შემდეგ გახსენით,  
 დახიეთ და სანაგვეში ჩაყარეთ! თქვენი ოჯახის სანაგვი-  
 დან საერთო სანაგვეში გადაყრის დროს ფრთხილად  
 იყავით, მეზობელმა თვალი არ მოჰკრას თქვენს მიერ  
 შექმნილ „დოკუმენტს“, თორემ „ანონიმუიკი“ ეგონე-  
 ბით!

„ნიანგის“ დავალებით — მანო სინარულიძე




# ქანდაკის ქანკანალი

შინ გვიან დავბრუნდი და მაშინვე დავძინე. ნახანუსარს ყოველთვის შუალამისას მეღვიძება, ლახლასით წავედი საჭირო დანადგარისაკენ და სასაგამშრალმა მაცივარი გამოვადე. მაცივარში სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის აგენტი იჯდა! მე რომ დამინახა, თავი მოიმძინარა, მაგრამ შევნიშნე, რომ ცალი, ნახევრადმოჭუტული თვალთ მაცივართან აღმდგა... რა უნდა მექნა?! ბავარიული ლულის ნაცვლად „ბორჯომი“ გადავყლურწე და დასაძინებლად გავეშურე. ჩემს საწოლთან შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკი იდგა და არ ვიცი, ლეიბში ფულის, თუ ლეიბზე მსუბუქი ყოფაცხევის ქალის პოვნის მიზნით სახნის ქვეშ ხელებს აფათურებდა!.. ჩემს დანახვაზე სასწრაფოდ საწოლქვეშ შეძვრა!..

დილით დაზღვევის აგენტმა გამომავლიდა — ქონება თუ არა, სიცოცხლე მაინც დაიზღვიეო! — შემუდარებოდა. ცივი უარით გავისტუმრე. „სუკ“-ის აგენტმა და „შსს“-ს მუშაკს ტელევიზორი ჩაერთოთ და წასულიყვნენ. ეკრანიდან დილის ვარჯიშს გამოსცემდნენ. პარალელურად, პოლიტიკური მიმომხილველი, სოციალისტური ქვეყნის მოქალაქის მიერ ვარჯიშის დროს თავის დაქერის აუცილებელ წებებს გვასწავლიდა!..

ჩაიზე ცოტა შავი ხიზილალის მიყოლება განვიზარაზე, რისთვისაც სარდაფში ჩავედი. ჩემს სარდაფში საბჭოთა მწვერავი იჯდა და რაცით ვილაცას რაღაცას გადასცემდა!.. თუ რას გადასცემდა და ვის გადასცემდა საბჭოთა მწვერავი, დარწმუნებული ვარ, რომ აზრზე არა ვარ და ვერც ვერასოდეს მოვალ აზრზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, როდესაც მწვერავმა უკმაყოფილოდ გადმომხედა და ფარდა ჩამოიფარა, შავი ხიზილალის მთელ მარაგს ხელი დავავლე და... სანაგვეში გადავუძახე!

გარეთ რომ გამოვედი, თვალში მაშინვე გრძელცოცხა და მოკლეულვაზა მეეზოვე მომხვდა. ვიცოდი, რომ ის ჩემი საკუთარი აგენტი იყო (მაგონი — „ობეზესიდან“), ამიტომ „ტემპის“ ნაცვლად ჯიბიდან „მტკვარი“ ამოვიღე და დინჯად, ბოლბებოლბებით წავედი ტრანსპორტის გაჩერებისაკენ. მეეზოვე ცოცხვა-ცოცხვით მომყვებოდა უკან (ამ დროს რომ ჩვენი უზნისთვის ზევიდან დაგებდათ, დაინახავდით, თუ როგორი ცოცხვა-ცოცხვით მიაბულულებდა ნაგავს ტრანსპორტის გაჩერებისაკენ რამდენიმე ათეული მეეზოვე!).



ავტობუსში, მთელი გზა სამსახურამდე, მძღოლს სახეზე ვაკვირდებოდი და ვცდილობდი ამომეცნო, თუ რა პროფესიისა იყო იგი, მაგრამ ამოდს ფარ-ხმალი მაინც არ დამიურია — სამსახურში მთელი დღე ვიჭექე და ფიქრს განვაგრძობდი.. ბოლოს გადავწყვიტე, რომ ის მძღოლი პროფესიით პედაგოგი უნდა ყოფილიყო. გადაწყვეტა იყო და, ოთახში ერთი ახოვანი სახალხო რაზმელი შემოვიდა, ცალ ხელში წითელი სამკლაური ეჭირა, მეორეში — დაწითილი ხელბორკილები და, — რომელს გაიკეთებო? — შემეითხა. მე პირი დავადე და... აკი ვითხაროთ, ჩაბახუსარს ყოველთვის შუალამისას მეღვიძება-მეთქი?! ახლაც სწორედ ამ დროს გამომეღვიძა გამომეღვიძა და მივხვდი, რომ ყოველივე ის, რაც ზემოთ მოგითხარეთ, სიზმარში ვნახე. მივხვდი და სიხარულით ამოვიხარე:

— ეჰ, ღმერთო ჩემო, სიზმარში მაინც მომაშორე ამ სინამდვილეს!

გურამ ინასარიძე



ნახ. გ. ლომიძისა

— ვინაც ვალუტა გაქვთ, იმ ავტობუსში გადაჩქით, ეს ველარ წავა!..





ტიპი სოფელს გამოეჭვა,  
გამოეჭვა თოხს და ბარსა,  
თოხის ტარი დაიწუნა,  
ატრიალებს დროშის ტარსა!..  
ქუჩამ ბრძანა: „შვილად გავწრდი,  
თვით ჩემივე გვარი არსა!“

ტიპი სოფელს გამოეჭვა,  
მოაშურა თბილის-ქალაქს!  
მერე რა, რომ მშვიერია,  
ხშირად პურის ფულიც არ აქვს?!  
ზოგი კათხა ლუღს აწოდებს,  
ზოგი კიდევ — ქიქა არაყს!..  
ხამუშ-ხამუშ მაინც ძღება  
და გადადის უირა-მალაყს!..

ტიპს არ უყვარს „ტიპიკონი“,  
არც სხვა წიგნი და არც შრომა!  
ტიპი ქუჩის მკვიდრი განდა  
ზამთარ-ზაფხულ-შემოდგომა!..

და ქუჩებში გაიწარდა  
უტიფართა მთელი წყება!  
მივა ტიპი, მოშიმშილეთ  
ცოტნესავით მიუწვება!..


მოშიმშილეთ მიუწვება  
აი, ამისთანა ტიპი!  
ერთმანეთში აირია  
უტიფარი და ნატიფი!

ტიპი როდი წრუნავს მარტო  
პოლიტიკურ კაპიტალზე, —  
იგი სპორტშიც ცხვირს ჩაგიყოფს,  
სხვის აწრს გეტყვის მიშა ტალზე,  
ანდა სიტყვას ჩამოაგდებს  
„ანდერლენტის“ კაპიტანზე!..

ტიპი თბილისს ჩამფრენია,  
როგორც ყოჩის ღუმას ტკიპი!  
სხვისი აწრით, სხვისი შრომით  
უწრუნველად ცხოვრობს ტიპი!

რომ დავმალეთ, ვის ვუმაღავთ?! —  
ჩვენთან ახლა ხდება ხშირად, —  
გზასამცდარი გერი შვილი  
თავს ახალებს ერის შვილად!

ალექსი ზინჭარაული



უსიტყვოდ

ნახ. ბ. ზუბაზვილისა

ტ.გ.





ნოველა

მისაღები გამოცდები ჩემთვის ეს მეოთხედ მოახლოვდა! წინა სამი წლის ყოველი გამოცდა ჩემი ხუთი თითივით მახსოვდა: ჩაპრილი რომ გამოვდიოდი, იმ ხუთ თითს მალე ვწევდი ხოლმე, ვითომ ამდენი მივიღე-მეთქი, თან ღიმილი მეფინა სახეზე და ამ ღიმილით ბევრი ჩემს საწყველად წვაქვებოდა!

— დიდუ! დიდუ! რაფერ აპნევენ ხუთებს?! ვინ აღირსა ნიშანი ამისთანა გლახაკს?! სიკვდილმა დაუფრინა მაგას ხახა! — შარშან ასე შეიცხადა ერთმა ფაშფაშამ და მუშტით ლამის სასიკვდილოდ დამაშავა.

— საიდან ეკუთვნის ამას ხუთი, ახლავე უნდა გავუსინჯო საბუთი! — დაიღრიალა შარშანწინ ერთმა მუტრუტუმა და მოწყვეტით გამკრა ხელუკუდმა.

პირველ წელს კი ხუთითაფიქრულს შინაურებმა ხევენით ლამის ნეკნები ჩამალუწეს!

გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ სულ უნდა შევშვებოდი თითებს და ამ პრობლემაზე ფიქრით ძალიან დავიტვირთე, დავასკვნე, რომ პირველ სამ წელს არ გამოჭრა იღბალმა, ისიც ხომ ხუთი თითი იყო, მუშტით რომ ლამის სასიკვდილოდ დამაშავა იმ ქალმა!..

ალბათ დავითარსე, ავსულებმა გამოთვალეს!.. წელსაც რომ იგივე არ დამმართოდა, აუცილებლად უნდა მეყიდა მუქი სათვალე, თანაც ისეთი, შიგნით რომ თვლებს ქაჩავ და გარედან რომ არაფერი არ ჩანს! თვლები სულის სარკმელებიო! — ეს წელს პირველად გავიგონე, ამიტომ მათზე ფარდების ჩამოსაფარებლად ყველაფერი ვიღონე, ვიყიდე მუქი სათვალე — სარკმელთა სარკმელები! დავდიოდი დინჯად, მედიდურად ვახველებდი.

გარეგნულად ვგავდი თავიანს, მაგარ კაცს, და ეს ასეც იყო — სულ სხვანაირად ვასტანდარტებდი შპარგალკას. დღემდე თუ გულდაგულ დახვეული გრაგნილი იყო მისი სტანდარტი, მე შემოვიღე მისი სრულიად ახალი ფორმა — კვადრატი. ამ ფორმისა იყო ჩემი სათვალის მუშები და იქიდან ავიღე სათანადო ნიმუშები. სათვალეზე ერთდროულად ვაკრავდი ორს, თვლები ცხვირწინ ხედვას დაეჩვიე; ვერ ვთვრავდი შორს. ხან ერთი თვლით, ხან მეორეთი კვეყავიდი ციფრებსა და ასოებს და ასე თანმიმდევრულად ყველა შპარგალკა დავაფასოე!

კალენდარი უკვე ივნისს გამოსცა და უცაბედად კარს მომადგა გამოცდა.

შესასვლელში გაგვიჩიეს, ცხვრებივით დავგოვალეს, ოღონდ ჩემთვის არავის უკადრებია, — მოიხსენიო მუქი სათვალე!

როგორც კი ამოცანა და მაგალითები დაფაზე დაიწერა, ხოლო ერთმა კომისიის წევრმა თავს დაგვიარა, როგორც ძებამ, მაშინ ვიგრძენი, რომ მუქ სათვალეში აირეკლა ჩემი ბედისწერა!..

არ ვიცი, ჩემი საქციელი ვინ როგორ გააზრა, მე კი პირველი ორი შპარგალკა-კვადრატი სათვალეში ჩავდე, როგორც ორლულთან თოფში ორი ვაზნა!..

თვლები მუბლქვეშ შევიტრიალე და ვხედავ — სათვალე აღარ ბღღვოილეებს, ორი თეთრი კვადრატი ზედ ნაწერი ციფრებითა და ლათინური ასოებით იყო ჩემი სალოცავი და იყო ჩემი სასოება!..

ქვეყანაზე თარსი ხალხი უთუოდ არის ბევრზე ბევრი, რადგან კომისიის შემადგენლობაშიც აღმოჩნდა ორი ასეთი მოუსვენარი წევრი!

ერთმა მკითხა, ეგ სათვალე შემთხვევით ხომ არ გაბრუტიახანებსო, რომ იცოდე, სულ ვერ ვიტან სათვალეან-ჩაფხუტიახანებსო!



მეორე მოვიდა, წინ დამერტო მახვილად და ხრინწიანი მამალივით ზედ თავზე დამყვილა: მზის სათვალე, ძვირფასო, უნდა გექეთონ მზეშიო, ახლა კი მოიხსენი, არ გირჩევ, რომ შეეჩვიო! პასუხის მოფიქრება წუთითაც არ მაცალა, ჩემი მხსნელი სათვალე ცხვირიდან ამაცალა!.. ასწია, აამალა, მუბლისკენ წაიღო და ჩემი გულიც ორად გაიყო!.. თვლებიც სათვალეს მივაღვენე, მუბლისკენ გამექცა და სიმწრისაგან გამიწიოდა ზეცა!..

შპარგალკა-კვადრატს დაღვენებული თვლები მუბლს ქვეშ შემიტრიალდა და ამაოდ ვარაცრაცებდი ცარციან-მტვრიან თავს!..

კომისიის წევრმა თეთრზე დაყენებულ

ჩემს თვლებს რომ დახედა, შიშისაგან ლამის ადგილზევე გახედა!.. მე ჩემს სინდისთან წინასწარ ვიყავი მორიგებული და მხოლოდ ამის შემდეგ მქონდა სათვალე მორიგებული, ამიტომ საკუთარი თავის წინაშე ვიყავი მართალი, კაცმაც იგრძნო ეს და არ გაღვინა სამართალი!.. რაკი დაინახა, რომ ღვთის წყრომითა თუ რისხვით ვიყავი მთლად ელამელა და ბეცი, გარეგნულად არც შეუცვლია პეწი!..

როგორც ნოკაუტში ჩავარდნილმა, ის იყო, ცხრამდე დავთვალე, რომ იმ დალოცვილმა ცხვირზე დამასკუბა ჩემი მხსნელი მუქი სათვალე!..

ამის შემდეგ რამდენჯერმე კიდევ „გავაპრიალე“ მისი მინები თეთრი ცხვირსახოცით და გამოვცვალე შპარგალკა-კვადრატი ბარე ოკი!..

ასე ვწერე მომდევნო გამოცდებზეც წყვილ შპარგალკა-კვადრატით მალულად ფაციფუციტ და ამდენი ახლო ხედვით საბოლოოდ გავხდი ელაბრუტი!..

ახლა ლექციებზე ვზვიარ, ვსწავლობ და მთელ ჩვენს ხუთჯგუფიან კურსზე მხოლოდ მე ვარ ელამელა, მათ ჰგონიათ, რომ ვუყურებ ყველას და ამიტომ მე მიყურებს ყველა!

ცხადია, აღაზ ვენმარობ და არც არასოდეს ვინმარ ყბადალებულ მუქ სათვალეს, რადგან უკვე აღარაფერი შევლის ბრმა თვლებს!

ელაბრუტი მირაბიშვილი



ნახ. ბ. კახიანიშვილისა

საბჭოთა მუსიკა



**შეშლას მასხვინად!**

დავირე ახლა ენათა განსვენად უკეთესი:

თითო-ორი შეიძლია რომ გვყავს, ვინაჲნ ავლით შევლათო!

სამხრეთი საქართველო ითხოვს ჩვენგან მამაშვილებს სიბიბს!

გაძმა — სანგული ითხოვს ჩვენგან მამაშვილებს სიბიბს! თვად შედექარლად ითხოვს ჩვენგან მამაშვილებს სიბიბს!

მოგერიე ქაჩის მიწებისა, მოგერიე ზღვის მიწებისა და თუენიო ვიწვებისა! — ბუგრა შვილ ვაჭარბიო მილიონის ქონებისა!

**30. რა არის მთავარი**

ქართულს წუ მძებრ-მძებრე, ითარბ ხარ თუ კიდე ხარ! რა მარტვი და რა რიშული — არ გებრალბა ქართული? სულ უნდა ქართულს ვუღოდე, სულ იმის ციხის უკლიდე ირკვლად იარაღსმედი! ის არის შენი აწქე და ის არის შენი წარსული! რაღა თქვა უნდა, — მერეოთი, კახელი და აშერელი, ქართული რაჟი და დერაილი, ქართულს უკვდიდე უნდა აქვს, ქართულს უკვდიდე სულ აქვს! ის შენი უნდა იბილ, ის სულ უნდა შეიგრძობი — მცდედიო რომ იგი, იმითი ვაჭარბარლბა შეიძლია!

**სამართო სიმღერა**

პერი, პერი და პერი, პერი, პერი და პერი! სხვან სხვა იმღერის, მშობილო, მე აწხარად ვღერის!

**სამღურაბი**

300000 უნდა და შენ რაზე შეხატულბო, შეარსე დაულს კარბე სხვახეითი!

დაშეირება რამე თუ, უნდაოლ ვაძიბო სავადურს — რა ვარ დღინისვაბი!

**ორატორის მასხვინი**

ჩოგრა ვაუოს რადა ტორა — რუბს მასე იარაგოა! იჭიო-იჭიო ქაიბობი, — ნაინ, ნაინ, ნაინ!

ღანის პირზე ვახვალს ცდილობს და თავს იტყვის სხატული!

**მ. შანიანი**

კონერატვი კარბა, თუ სინდის შეუწერო, თუ სამქერ შეტი არ მიაქვი კერი ტაქმის მძღოლებს,

თუ ბაღელ არ დავაშვებთა ქერძოდ დამცხარი კერი და თუენიო ვიწვებისა — რა იწვერი ავდილი.

პერი, პერი და პერი, პერი, პერი და პერი! სხვან სხვა იმღერის, მშობილო, მე აწხარად ვღერის!



**რწმენა**

მტერიღუ ხადა მახვება, თვადო ცრემლის სიხველას! დარი ვახული ვაჩიანი, მაინც ცრემლის კვლი არბ,

გზაზე ტე რომ მივაბებებ, ცხეში რიბის მივაბა წერ, კარზე შე რე დავიბებ — მაღვიბდა ვაწვირებ

გენწარად მოტირადის, სარქელს ცევი კორტის ქარს! კარს ადებს და ირბი ვდებობი, რა პიღმა ვკვლავ, რომ მიხვლები,

შენდა ვეგრებდი დავცილებდი და მისავითი დავცილებდი — რწმენა ტარებს მიდევლებს!

**სამღურაბი**

300000 უნდა და შენ რაზე შეხატულბო, შეარსე დაულს კარბე სხვახეითი!

დაშეირება რამე თუ, უნდაოლ ვაძიბო სავადურს — რა ვარ დღინისვაბი!

**ორატორის მასხვინი**

ჩოგრა ვაუოს რადა ტორა — რუბს მასე იარაგოა! იჭიო-იჭიო ქაიბობი, — ნაინ, ნაინ, ნაინ!

ღანის პირზე ვახვალს ცდილობს და თავს იტყვის სხატული!

**წიგნილი მასხვინი**

უკვირ ატობიუნებს შენის აწხა, ჩველა წარქერი, და შე სეუზარის ზეზას ვაშო ცრემლის ვაჭვერი.

მარბდა დანაშაული, მიწე დებს იმის! რა გრძობს! ვუხვდა: ხარავალი — რაღის სიკრავს! სანაცვლო!

იზურგეობდა ტოვა მისი მოხიზნულად მოხას, ჩველა ვნას ვიწვებს, ჩველა ვნას ვიწვებს ციხის და დროის მხა! წულღობის ვაწიბებამ უნდა ვაშოაშუქა!

ვინან: ველი, ხალხო, ნებას და უწიოედ სანქარსი! მანგეპირად აბიუტდა და სარქელს ექაი!

400000 უნდა, რა თქმა უნდა, ყველბერი სეუ აქვს!

ცხაკია სენაკია (სიბუჯის გემოთ ვაშოვება), ერთბერიო, ჩვენ ვაკვიაო ბილი ზარის მარკვირა,

რაცა სხავლს ხანქებობს ჩვენას ბუგრა ინარტებს! ალაგერიო, ბილიბილიო, ვეჭვიო მამაბილი სიბარბილუ!

**მომღერო რითმებატი**

იხე ითხოვდილო, იტყვე: ათვის უმჯობა.

ინარტე და მოვა უნდა, მომღერ-მოცერი-მოცებნა!

მოვა ბიების ღარბიბიო, წიბიბი, არა დარბიბიო.

გვადება და ვერ დობის მკვლადებს ვერ დობსად. ვამსამგერი-ორღერებს სიბის ერთბერი მოხვერებს.

უბრებს: ლამაჲ კე ხარო! დარბარ და კე ხარბი.

ყალბად იღლებ-იხებთა, ახე მანგეპირებსა.

სხდ ის და ხად კე მთად, მიღებს იმის სხდ მწვიდი!

ახილა თავი დარბას და შარბა დავიბარბას.

ცერბანაჲ ვენა ხილად გელო თიბის ვენაბიდან.

ნახად მდერის იტერი და ხმა ირბევა ციერადან.

კაბა, ტანზე ნახობარი, მოწული ნახობ შარბის.

მოხაბი-მოწეწა, რიკრეც იქნა, მოწეწა.

სრ ვააზარ-ვაიფიდა, ჩრედი მარბ ვაიფიდა.

შენ ვაეუთუნის, წამო, სედი, მიღლებდის წამოხიბად!

ღარბულ დარბი კახეი, ვინან: ველი, ხალხო, ნებას და უწიოედ სანქარსი!

არ ატყება ლაჲთა, ციხის ბიჯვის ლაჲ თა.

ღერას ვეუთობის ხაჲე ვითა? — წერს იბედილ ხატვითა.

წამოხელი სიმონელი ვილც უტარის, „სიმონ, რიბი!“

დანი, თანც უტარობი, ვის აწხებს უტა ლიბო!

არ სინდის ვარტყანს — დავითი მანგეობს, დანახობის-დაწინანბის.

მტარი, ვაჭრე დაველო, ითხოვდებე დაველო!

აქმა-ღაღმა დარბაბობს შენი ქარი, დარბაბო!

შენი მდერის რას ნახებდი? ითხოვდებე წარად!

ნახბა — არა, ზე არბი დარბა — მოწეწეწარიო.

— ვეშელები? — უღაკელო! — შერე სე უთავიბო!

კლდეტვი — ხსკელით? აღწედე თავქვეუ ხაჲე ვადლო.

არც ღაშქრული, არც ციფერი, შევიო კონერატული?

ვარდ „სარკვილიბი“, ცოტა-ცოტა დღიბიბი.

რას მოვლ იქარბიდან? — დღესო ექნას იქა ვინდი!

კერბობა შერას ჯეონია და ვახარბის ატბობია.

ვაჭრებდა ბუგრა ხანი, მოვიწელი ბუგრა ხანი.

ვეტყვება: უღებს მტარიო, მტერი მანც მტერიო!

ქა — არავად, ქა — ქსილად იქნა სხხლად აქვას!


ქა — ეწვერად, ქა — რიბიან, წამოხელი ვაიფიდა!

მიღის შოთი ვაიფული წედი შევაი ვაიფული.

ვინაც ლეზი კოჩა ნები, სმარტეში — ერთანბი.

საქართველო ცდილებსა შევაი-შევაი-შელოლებს!

იღებტარებთა ჯამბი ლოლუხასი



— არხად წახსვლელი ეგ არ არის, ტუთილად დარა-კობ!

**ჩვენებური გარდაქმნა**

ჩენიონ რომ გარდაქმნა სიბბა, არ შიქეწილებდა უკრება: გეწინ სუბის მამარეო დღეს ქრისტეს ემსარეობა, შიქეწილი სუბის მამარეო, ვის რაზე დაღმობებს! და აიბიბის სბურება, თან „სხატობის“ ეთიბლბას, თან „სხატობის“ ვეჭველებს! შერას სულბის ვაწხეობა და ბუგრა აწხეობის ვეჭველებს! შერას ჩვენებულის ხან თითის,

ხან შიქის დაღმობებს! ახლა ქუხაბო რომ მტყვებს, ცვირვითი შიქეწილებს, ვეღულუ არბ მომობილ, ვის რაზე დაღმობებს! არც რიბის მოწეწე და არც რიბის მოწეწე! — ვერ არბ ასეო მდღისის შეტუბებს. შეტუბებს!



თითო-ორი სულელი, დებილი, ჭკუათხელი, ყრუ-მუნჯი, დაფეხილი, გიჟი და გადარეული ყველა ერსა თუ რჯულს „ამშვენებს“ და ჩემმა ერმა რაღა დააშავა?! ჰოდა, იაკობის ოჯახსაც შეეძინა ნანატრი ვაჟიშვილი!

შეეძინა და, ისეთი ხმა დაჰყვა, რომ ყველაზე ჭიშინ მგელ-აფთარსაც კი შეშურდებოდა!..

ასიდან დაისამდე და, პირუტყუ, მისი სირინოზის ჰანგები წამითაც არ ცხრებოდა ბედნიერ ოჯახში..

განუწყვეტელი მღერით, ქნევით, ა-ა-ა-ის ძახლით ქანკი გაუწყდათ. დაუწვრილდათ, დალიათ, ჩაეხლიათ ხმები ბებია-ბაბუს, ბიძა-ბიცოლებს, მამიდა-დეიდებს, მეზობლებს!.. სამაგიეროდ, ნაშიერის ჯერ დისკანტი, შემდეგ კი ბარიტონ-ბანი დღითიღმე მძლავრდებოდა, უმაღლეს რეგისტრს აღწევდა და აესებდა ოთახებს, სართულებს, ეზოს, მეზობელ ქუჩებს!..

ახლა გარეგნობას არ იკითხავთ? — ანგელოზი! — თეთრი, თეთრი, ქათქათა პირისახე, ქერა კულულები.. ყველა კუნთ-ნაკვეთი, თითქოსდა, ხუროთმოძღვარს გამოუკვეთია!

ჰოდა, მთელი ოჯახი სანთელივით დნებოდა, ენაცვლებოდა, ეფერებოდა, ამაყობდა!..

— ბრწყინვალე მომღერალი იქნება!

— უდიდესი ორატორი!

— პიანისტი, კომპოზიტორი ან, უარეს შემთხვევაში, ღირიერი!

დღე დღეს მიჰყვებოდა, თვე — თვეს, პატარა იაკობი კი გაჰკიოდა და გასჩხაოდა!.. „...და, ვაი, სირცხვილი! — ჯერ ეჭვი შეეპარათ, მერე შეშინდნენ, ბოლოს გაიგეს, მიხვდნენ — საგვარეულოს პირველი მემკვიდრე ყრუ არისო!..

არ დარჩა ეჭვი თუ ეჭიმბაში, პროფესორი თუ დოცენტი, სოფელი თუ ქალაქი, აფთიაქის წამალი თუ ოჯახური მალამო, რომ თავზარდაცემულ ნათესავ-მეგობრებს არ მიეშველებინათ! ამდენ ძიება-მკურნალობაში კიდევ ერთი „სიკეთე“ დაასკვნეს — მუნჯი არისო!

სად არ ეძიეს მიზეზის სათავე, მაგრამ ამაოდ! კაცსა თუ ფესვმეგარ წინაპრებს, მთელ შთამომავლობას, ყრუ-მუნჯი არა ჰყოლიათ!

ოჯახი ქოლგასავით ჩამოიშალა, შეიკრა. შეიკუმშა, უბედურებას, ვარაშს, ბედს დაემორჩილა და ერთადერთ ყრუ-მუნჯ ნაშიერს ყურმოჭრილ მონად გაეგო!..

ასე იყო თუ ისე, გაიზარდა დედისერთა ტანადი და მოხდენილი, გარეთ მტრისა და შიგნით მოყვრის დასაბრმავებლად!..

არც სწავლა-განათლება დააკლეს! ყველაფერი, რაც კი ახალი თუ ძველი მეთოდით ყრუ-მუნჯისათვის შეიძლებოდა გაკეთებულიყო, სრულად მოიხმარეს!..

თერამეტი წლისა არც იყო, როცა სახლში ტანწერა შეეღვიო ყელმოღერებულ

ფიჭუბოვალემა ფერია შემოიყვანა!.. მისმა გრძელმა დალაღებმა მზესავით შემოანათეს და ყოველივეს შუქი მოჰფინეს!..

შემოიყვანათ, ისე ვთქვი, თორემ კარს ფეხი რიხიანად მოარტყა, გოგონა ხელში აიტაცა, ციბრუტივით დაატრიალა, მერე მაგიდაზე შეაყენა და დმუილნარევი ხარხზარით რაღაცს ამბობდა!..

ტყუილად კი არ უთქვამთ, მუნჯის ენა დედამ იცისო!.. მიხვდა ქალი, — საცოლაო!..

არა, გოგონას გენეალოგია არავის ურკვევია, რადგან ისიც ისეთივე უტყვი და უსმენო იყო!.. არც ერის სიწმინდეზე უფიქრიათ!.. უბრალოდ, უკვირდათ, ეს ანგელოზი ცოდვიშვილს ვინ მისცა — ამ გიჟსა და გადარეულსო?!..

შალე ოჯახს მძახლები ეახლნენ: დედა — რუსი, მამა — სომეხი, მოკრძალებული, გამრჩე მშრომლები!

გვიანობამდე იდარბაისლეს, ერთმანეთს ხეაშიადი გადაუშლეს და მოყვრობა დაილოცეს!..

...მეხუთე თვეს რძალს გული შეუღრდა, გაფითდა და პირსაბანს ძლივს მიუღწრო!..

— ბიჭი მინც შეეძინოთ, თორემ ამ მშობლების შემყურე გოგო ცოდვა იქნება!

— ფიქრობდნენ მშობლები.

...და იმ ჯერ გაურკვეველ ბედნიერ თუ უბედურ დღეს სამშობლიარო ეზოში თავშეყრილმა ახლობელ-ნათესავებმა ერთმანეთს ივდიითს გაჩენა მიულოცეს!..

სულ მალე ამ ერთმა ცილამ იმდენი სითბო, სიხარული და საზრუნავი მოუტანა მოყვრებს, რომ მხოლოდ მისით სულდამშობობდნენ!

ერთხელ ბების უშველებელი ბროლის

ლარსაკი ხელიდან გაუსხლტა!

რეგებად იქცა!..

ივდიითი შეკრთა, ასლუქუნდა, ატრიადა!..

— ღმერთო, შენი სახელის კირიმე! გაიგონა, შეესმა!..

ბავშვი ხელში აიტაცეს და ერთთავად გაიძახოდნენ: — იტირე, იტირე, ჩემო სიცოცხლე, ჩემო ერთავ! ხალხო, გესმით?! ესმის! ესმის! — გაისმოდა სართულიდან სართულზე, სახლიდან სახლში, ეზოდან ეზოში!

ბედნიერმა ბებია-ბაბუებმა უამრავი საკრავი, სათამაშო, ათასნაირი თოჯინა მოზიდეს და ეს ხუთი თვის ანგელოზი გულდასმით უსმენდა მუსიკას, ფაფუკ, ლამაზ თითებს ათამაშებდა და მტრედით ღულუნუნებდა!..

როცა გაურკვეველი ბგერების შემდეგ ასო თანდათან მიაყოლა ასოს და პირველი სიტყვა თქვა, მიკვირს, ოჯახი სიხარულს როგორ არ გადაჰყვა?!..

რაღა ბევრი გავაგრძელო, ერთი წლის ივდიითი დედ-მამას ხელებით ელაპარაკებოდა!

მამის მხრივ ბებია-ბაბუს — ქართულად:

„მ-ა-მ-ე!“

დიდედას — რუსულად: „ბ-ა-ბ-ა!“

დედის მამას — სომხურად: „ჩ-ე-ჩ-ე!“

ღმერთო, იკურთხოს შენი სახელი! რა არ ხდება ამ დალოცვილ თუ ცოდვილ დედა-მიწაზე!

თუმცა, რა გასაკვირია?!..


თითო-ორილა ჭკვიანი, დალაგებული, ენაწყლიანი, მშვენიერი და საამაყო ყველა ერსა თუ რჯულს ამშვენებს და ჩემმა ერმა რაღა დააშავა?!..

### ჩენი ლეზგიშვილი



ეჭიშორე, სახსრების საკმე მაქვს ცუდად!..  
— სახსრების საკმე თუ ცუდად მაქვს, კომპერატორ-ში რამ მიგუყვანა!  
ნ.ა. ნიკო პრაბიძის (ქ. ქუთაისი)





ოცდაათიანი წლების  
ერთი ცნობილი ტექსტის  
ვარიანტი

ცაზე მთვარე ამოსულა,  
ბადრი მთვარე ამოსულა,  
მთვარე მართლა ამოსულა

მ რ ე შ ი!

ქაანწყვეტით — დღე და ღამე  
უვლის წითელ ყანა-ბაღებს  
გღებჯაცობა — გამართული  
წ ე ლ შ ი!

მტერს რომ გეგმა ჩავეშალოთ,  
გამოგივლი სამუშაოდ,  
კოლექტივში სამუშაოდ

წ ა მ ო!

წამით არხად დაახანო,  
რომ სოფელი გაახარო  
და ყოველდღე გემოწედაც

ქ ა მ ო!

ხალხის მტრების ბოროტ ხრიკებს  
დაწვრილებით გამოვირკვევთ,  
წითლები ვართ, ვაცამტკერეთ

თ ე თ რ ი!

ღმერთსაც დედა ავუტირეთ,  
სულ სხვა მხარეს გავუტითეთ,  
წინ მიგვიძღვის უღმერთობის

ღ მ ე რ თ ი!

დღისით მზე ვერ გამოსულა,  
შიშით მზე ვერ გამოსულა,  
ღრუბლიდან ვერ იჭვრიტება

გ ა რ ე!

ეს ძველი და მჩაგვრელების  
წახმარი და ნაგებები,  
ხავსიანი, ვის რად უნდა

მ თ ვ ა რ ე?!

მაგ უღლეურს იხე დავცხებთ,

ცემით მიწას დავანარცხებთ,

ჩვენს ცხოვრებას ახლებურად

ვ ჩ ა რ ხ ა ვ თ!

მერე რახაც ავაშენებთ,

მოვქარგავთ და დავამშვენებთ,

სუყველადერს თქვენი თვალით

ნ ა ხ ა ვ თ!

ანწორ აბუღავვილი







უსიტყვოდ

უურნალი „პიკერი“ (ე ს ტ ო ნ ე თ ი)

ვაში მოჰყვა“. მამიდაჩემს ბევრი კი არაფერი უნდა, სანაცვლო ბინას გადაკარგულის მაგიერ (სადაც სთავაზობენ) ცოტა ნორმალური რაიონში ითხოვს, ტრანსპორტი რომ ხეირიანად უღებოდეს, ისეთში. რაიონისკომის თავმჯდომარესთან ერთ აკადემიკოსს დავაფრეგე, მეორე აკადემიკოსს (სახალხო დეპუტატს!) ბლანკზე დაბეჭდილი წერილი გავაგზავნიე!.. ვის დაკარგვიანარ! — მაგისტანტი მინიჭებენო? — უთქვამს მიღების დროს მამიდაჩემისათვის იმ თავხედანხევარს. ბედნიერმა აზრმა არც აქ მიმტყუნა და შევეუთავლე: არაფორმალურს მოვიყვან და კაბინეტის კარს ავიჭედავთ-მეთქი! ... მამიდაჩემს დიდუბეში მისცეს ერთთახიანი ბინა!

\* \* \*

შვილი უმაღლეს სასწავლებელში აბარებდა მისაღებ გამოცდებს. პირველ გამოცდაზე (მათემატიკაში) გააქანა და „სამი“ ხეთქა. მეორეზე (ფიზიკაში) — „ორი“. „მაგისტანტი ჩაურთცხავთ-მეთქი?!“ — გავიფიქრე და რაკი ბედნიერმა აზრმა კიდევ ერთხელ გამიელვა, მჯდომარე პროტესტი გამოვაცხადე: განათლების სამინისტროსთან კარავი დავეცი, სინათლე გავაყვანიე, ვიღეომაგნიტოფონი და გიტარა მოვატანიე. მჯდომარე ვწრუპავდი შემოგზავნილ შამპანურს, მჯდომარე ვაქლარუნებდი გიტარას, მჯდომარე ვუყურებდი ვიდეოს, მჯდომარეს მეხვეოდნენ შვილის მეგობარი გოგონები!..

... ერთი კვირის თავზე ბიჭი სპეციალური ბრძანებით ჩარიცხეს უმაღლესში. სტუდბილეთი კარავში თვით რექტორმა შემომიტანა!

\* \* \*

ახე კარგად მიდიოდა ყველაფერი, სანამ ყველაზე დიდი ბაზარი ატყდებოდა და საბაზრო ეკონომიკა გამოცხადდებოდა ჩვენი ქვეყანი მთავრობისაგან; რად გინდა, რა — ახლა მთელი ქვეყანა ისედაც უვალდ იშმშოლებს და მე, მოშმშოილეს, ვინლა რალად ჩამადგებს?!

თამაზ ევანოიძე

# ბეჭდვითი აზარი

ჩემდა სავალალოდ, ცხოვრებაში დიდი მიზანდასახულობით ვერ დავეყენი, მაგრამ ამ ბოლო დროს მიზნების მისაღწევად არაერთი ეფექტიანი ხერხი შევიმუშავე (გარდაქმნას უშველის ღმერთი!). რადგან არც ისე ეგოისტი ვარ, როგორც ზოგიერთს ჰგონია, ამ ხერხებს აქვე გავიზიარებთ.

\* \* \*

**ბასტრონომი** შევედი, ეგებ ძეხვი იყოს-მეთქი! არ იყო, რა თქმა უნდა! ბედნიერმა აზრმა გამიელვა, სექციის გამგე გამოვაცხადებინე და ხმამალა ვუთხარი: სანამ ერთ კილოგრამ ძეხვს არ გააჩენთ, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს გადადებულ არჩევნებამდე შიმშილობას ვაცხადებ-მეთქი!.. ერთი კილოგრამი ძეხვი მაშინვე გააჩინეს!..

\* \* \*

**გამიგონია**, საღამოს ბაზარი იაფიაო და ხენდროს საყიდლად შევიარე. თქვენც არ მომიკვდეთ! — კილო ათი მანეთიო, და გამყიდველმა (თუ გადამიცდევლმა) ფასს ფეხი არ მოუცვალა! ბედნიერმა აზრმა გამიელვა: იქვე შიმშილობა გამოვაცხადე ბაზრის დახურვამდე. — ოღონდ მაგას ნუ იზამო, და შეშინებულმა გამყიდველმა (თუ გადამიცდევლმა) ფასი შეიდ მანეთამდე დამიკლო!..

\* \* \*

**გაზეთის** რედაქტორს ლექსი მივუტანე; ქვა აუგდია და თავი შეუშვერია — სუსტია, ვერ დავბეჭდავო (განყოფილებაში მითხრეს); „სუსტია, ვერ დავბეჭდავ!“ აგრე არ უნდა-მეთქი, და ჩემი სამსახურიდან სახალხო ფრონტის ძირეული ორგანიზაციის თავმჯდომარეს დავარეკეინე (ბედნიერმა აზრმა აქაც გამიელვა). ლექსი მესამე დღეს დაიბეჭდა პირველ გვერდზე!

\* \* \*

**მარტოხალა** მამიდა მყავს, ხანდაზმულია (სიარული უჭირს). ქალაქის ცენტრში, ძველი სახლის ერთთახიან ბინაში ცხოვრობს. იმ სახლს, საბჭოთა იმპერიისა არ იყოს, ყავლი გაუვიდა და „გრე-



ნახ. ზ. ლომიძისა





**წყალს რატომ ასხამ მტრის ნინქვილს?!**

ფეხბურთის ზოგიერთ ვაიბულუშემატკივარს

რამდენჯერ დაგიჩივლია: — დღეს საქართველოს  
უჭირსო! —  
სუფრაზე — ვითომ ქართველო, სტადიონზე კი —  
უჭიშოვ!

გახსოვს, ძმაკაცს რომ ახარე და გადაკოცნეთ  
ერთურთი: —  
დღეიდან ცალკე ივლისო ჩვენი ქართული ფეხბურთი!

მერე რა ჭირი გაგიჩნდა, ან რა ეშმაკმა დაგცადა,  
რომ სტადიონზე მისული აღარ ვარგინარ კაცადა?!

მინდორზე ქვების დაშენა გულშემატკივრის როლია?!  
მე შენ ვაუჟაცი მეგონე, გამხდარხარ ქვებისსროლია!

აღარ დაადგა საშველი მაგ შენი ვნების ჩაქრობას!  
ახლა სურვილი გაგზრდია — მოითხოვ მსაჯთა ჩაქოლვას!

შენ, ყოჩო რაიონისა, ზოგჯერ ამ საძრახ საქმეზე  
თვით რაიკომის მდივანი და მილიცია გაქეზებს!

სტადიონისკენ წასული, ჯიბეს ბომბებით იტენი,  
მტრის წისქვილზე რომ წყალს ასხამ, ნუთუ, არ გეხმის  
იმდენი?!

მოსკოვი — ჩვენი განდგომით მრისხანე,  
ფაფარაშლილი —  
ელის, იხილოს ქართული ჩემპიონატი ჩაშლილი.

რომ წამოგვძახოს სიტყვები, ოქტომბრის აქეთ  
ნაცვითი: —  
უჩემოდ რესპუბლიკები არ ვარგინართო არც ერთსა  
საქართველოს!  
დღეს უჭირს, მხარში დაუდექ შენსა და ჩემს  
საქართველოს!  
გამიგებ? — კაცად იქცევი, არა და — ღმერთმა  
დაგწყევლოს!

ავთანდილ ციხაძე,  
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის  
სადისციპლინო კომისიის წევრი.

საბჭოეთის ნაკრებმა!  
საბჭოეთის ნაკრები!  
საბჭოეთის ნაკრები!  
საბჭოეთის ნაკრები!  
საბჭოეთის ნაკრები!

გულში, ამირანივით,  
მღეროდა,  
მთებს ანგრევდა,  
მაგრამ ვერ ინაკრება  
საბჭოეთის ნაკრებმა!

იტალიამ ვერ იცნო  
ზანტი, როგორც აქლემი,  
ნულოვანი წერტილი —  
იმპერიის ნაკრები!

არც ლიტველი ჰყოლია,  
არც სომეხი,  
ქართველი!..  
მინდორს მარტო თელავდა  
ერების გადამთელი,  
მჩეხავი და მღეწავი,  
ამრევი და ამკლემი,  
იმპერიის იმედი —  
საბჭოეთის ნაკრები!

ღმერთო, შენი ჭირიმე,  
კი ხარ ყველას გამგები!  
ჩვენ რა?! —  
თვითონ დამარცხდა  
იმპერიის ნაკრები!

ჩვენ რა?! —  
თვითონ დამარცხდა —  
სხვებზე ბევრად ნაკლები —  
ახლაც ჩვენ დაგვაბრალებს  
საბჭოეთის ნაკრები?!

გულში, ამირანივით,  
მღეროდა,  
მთებს ანგრევდა!..  
რა ვქნათ, ვერ ინაკრება  
იმპერიის ნაკრებმა!

რევაზ ლორია  
(ქ. ლანჩხუთი)



7-90

# საქართველოს მკვირვართა



საბჭოთა და იუგოსლავიური  
შურნალი „ნიანბი“ №16  
(1818). აგვისტო. გამო-  
დის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი  
ზაურ გოლძევაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი  
(პასუხისმგებელი მდივანი),  
ჭაბუა ამირჯიბი, ნომადი  
ბართაია, რევაზ თვარაძე,  
ჭემალ ლოლუა (შხატვარ-  
რედაქტორი), ნოდარ შალა-  
ზონია, ალექსანდრე სამსო-  
ნია, ბეჟან სიხარულიძე  
(მთავარი რედაქტორის მო-  
ადგილე), ჯანსუღ ჩარკვი-  
ანი, თამაზ წიგწივაძე.

ტექნიკური რედაქტორი  
ირაკლი ღუნღუა

## ციკლიდან — „ალო! ძვირფასი ლეონიდ ილიჩი გისმენთ!“

დიკლომატიურ მიღებაზე  
ბრეჟნევი კითხულობს დაბეჭდილს:  
— პატივცემულო ქალბატონო ინ-  
დირა განდი!..

გვერდით მდგომი უსწორებს:  
— ინდირა განდი კი არა, ქალბა-  
ტონო ტეტჩერი!

ბრეჟნევი ხმადაბლა უბასუხებს:  
— მეც ვხედავ, რომ ტეტჩერია,  
მაგრამ აქ წერია განდი! — და ისევ  
ხმამალლა კითხულობს:

— პატივცემულო ქალბატონო ინ-  
დირა განდი!

\* \* \*

ბრეჟნევი უვილი უვილს  
ეთამაშება.

— ვინ უნდა გამოხვიდე, რომ გა-  
იზრდები?

— გენერალური მდივანი!  
— რად გვინდა ჩვენ ორი გენე-  
რალური მდივანი?!

\* \* \*

ბაბაქუნებანი. ბრეჟნევი კა-  
რებთან მიდის, ჯიბიდან იღებს სა-  
თვალეს, ქალაღდს და დაწერილს  
კითხულობს:

— რომელი ხართ?

\* \* \*

ბრეჟნევი გამოდის ტელე-  
ვიზიით.

— მოსკოვში გავრცელდა ჭორი,  
თითქოს მანქანაში ჩემს მაგივრად  
იჯდეს ჩემი ფიტული!.. მთელი პა-

სუხისმგებლობით უნდა განვაცხადო,  
რომ ეს ცილისწამებაა! სინამდვი-  
ლეში მანქანაში ჩემი ფიტულის მა-  
გივრად ვწვივარ მე!

\* \* \*

გერმანიის ფედერაციულ  
რესპუბლიკაში ბრეჟნევი შეხვდა  
ადგილობრივ პოლიტიკურ მოღვაწეს  
ჰოიზინგერს, რომელიც ბრეჟნევის  
ეკითხება:

— რა აზრისა ხართ ბრანდტზე?

— ბრანდტი ვინ არის?

მეორე დღეს მრჩეველი ეუბნება:

— რა მოხდენილად უბასუხებ  
გუშინ ჰოიზინგერს!

— ჰოიზინგერი ვინ არის?

\* \* \*

გმირის მეხუთე ვარსკვლავი  
ბრეჟნევა მიიღო სიკვდილის შემ-  
დეგ... კრემლის განთავისუფლები-  
სათვის!

\* \* \*

ბრეჟნევი დაბრუნდა სა-  
იქიოდან. ხედავს, მოსკოვში, გასტ-  
რონომთან, გრძელი რიგი დგას.

— რისთვის დგანან?

— არაუისათვის.

— ჩემს დროს ამდენს არ სვამდ-  
ნენ!

შურნალი „ნიანბი“,  
№ 2, № 5, 1990 წ.

თარგმნა ლევან სულავამ

გადაეცა ასაწყობად  
23. 07. 90 წ. ხელმოწერი-  
ლია დასაბეჭდად 22. 08.  
90 წ. ქალაღდის ზომა  
60X90<sup>1</sup>/<sub>8</sub>, ფიზიკური ნაბე-  
ჭდი ფურცელი 1,5. სააღ-  
რიცხვო-საგამომცემლო თა-  
ხაბი 1,9. საქართველოს კ-  
სტის გამომცემლობა,  
მ. კოსტავის ქ. № 14. შეკვ-  
№ 1671. ტირაჟი 125.000.  
კურნალი გამოდის თვე-  
ში ორჯერ. რედაქციაში  
შემოსული მასალები ავ-  
ტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008,  
თბილისი-8, რუსთაველის  
პროსპექტი № 48.

ტელეფონები: მთავარი  
რედაქტორის — 99-55-54,  
მთ. რედ. მოადგილის —  
93-19-42, პ/მგ მდივნის —  
93-10-78, შხატვარ-რედაქ-  
ტორის — 99-02-38, ვან-  
ყოფილებათა გამგეების —  
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-  
მუშაკების — 99-02-38,  
მდივან-მემაქანის —  
99-76-69.

Сатирико - юмористиче-  
ский журнал «НИАН-  
ГИ» (На грузинском  
языке). Тбилиси, пр. Ру-  
стваели № 42. Издагель-  
ство ЦК Грузии, ордена Трудового Крас-  
ного Знамени типогра-  
фия издательства ЦК  
КП Грузии, Тбилиси,  
ул. М. Костава № 14,

ფასი 20 კპ.

ინდექსი 76187

КОНТРОЛЬНЫЕ  
ЭКЗЕМПЛЯРЫ